ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ

4 აგვისტო, შაბათი, 1990 წ.
№ 145 (10 814) ● ფასი 8 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

SEATTLE '90 GOODWILL GAMES

კეთილი ნების თამაშები

## თბილისი—სიეტლი

# „პირადი ოქრო", „გუნდური ვერცხლი" და... მოლოდინი

**ხუთშაბათს** კვლავ დავუკავშირდით სიეტლს. ჩვენს საკორესპონდენტო პუნქტში ვესაუბრეთ საქართველოს სპორტული დელეგაციის ხელმძღვანელობას, პირველ ყოვლისა გვაცნობეს, რომ დავით გობეჯიშვილი კეთილი ნების თამაშების ორი მედლით დაუჯილდოებიათ. საქმე ის გახლავთ, რომ თავისუფალ ჭიდაობაში მედლები ცალკე გუნდურ და ცალკე პირად ჩათვლაში გათამაშდა. დღეს უკვე ყველამ იცის, რა ძნელი და სასახელო გამარჯვება მოიპოვა დავით გობეჯიშვილმა ბრიუს ბაუმგარტნერთან ორთაბრძოლაში, ვიცით ისიც, რომ საბჭოთა კავშირის გუნდს ამერიკელებმა აჯობეს. ასე რომ, დავითს „პირად ოქროსთან" ერთად „გუნდური ვერცხლიც" გადაეცა. სხვათა შორის, ჰონორარიც შესაბამისი მიიღო.

ჩვენი სპორტული დელეგაცია განსაკუთრებული ინტერესით ელის ძიუდოისტთა ტურნირის დაწყებას. ქართველ ძიუდოისტთა სამეულს (ამირან ტოტიკაშვილი, ვლადიმერ დგებუაძე, კობა კურტანიძე) შეუერთდა და მათთან მუშაობს საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი შოთა ხაბარელი.

ძნელი ასპარეზობა ელის წყალში მხტომელ გიორგი ჩოგოვაძესაც, რომელსაც ხვალ უწევს გამოსვლა. სიეტლში ამ სახეობის ყველა უძლიერესი წარმომადგენელი შეიკრიბა.

# ფინალური ბრძოლების დღე

**სიეტლი.** ამერიკელებს უყვართ კრივი და „კოლიზეუმში" მოწყობილ სარბიელს ყოველდღე, როგორც წესი, უამრავი ხალხი აწყდება. დღეს აქ დაიწყება ფინალური შეხვედრები. ოქროს მედლებისთვის იბრძვის 9 საბჭოთა მოკრივე, ერთით ნაკლები აშშ-დან, სამი კუბელი და თითო წარმომადგენელი ბულგარეთიდან, რუმინეთიდან, გდრ-დან და გფრ-დან.

გთავაზობთ ფინალისტთა წყვილებს: 48 კგ — ანატოლი ფილიპოვი (სსრკ) — ერიკ გრიფინი (აშშ), 51 კგ — ჯამბულატ მუტაევი (სსრკ) — ტიმ ოსტინი (აშშ), 54 კგ — სერხიო რეიესი (აშშ) — სერაფიმ ტოდოროვი (ბულგარეთი), 57 კგ —

იხ. მე-4 გვ.



**კეთილი ნების თამაშებზე** მეგობრობის თავისებურ მექად იქცა სიეტლის „პეპსი-ცენტრი". აქ ტარდება ყველა კულტურული ღონისძიება, რომელიც თამაშების პროგრამითაა გათვალისწინებული. 26 ივლისიდან 1 აგვისტომდე „პეპსი-ცენტრის" სცენაზე კონცერტებს მართავდნენ საქართველოს ხელოვნების ოსტატები, რომლებსაც უდიდესი წარმატება ხვდათ წილად.

სურათზე, რომელიც საქართველოს ფოტოქრონიკამ შემოგვთავაზა, აღბეჭდილია ქართველი მხახიობების ერთ-ერთი გამოსვლის ფრაგმენტი.

„ლელოს" სპეციალური კორესპონდენტის ფოტორეპორტაჟს მე-3 გვერდზე გთავაზობთ.

VII

თვის მონაგარი

# არავინ დარჩა გულდაწყვეტილი

ალბათ უპრიანი იქნება, რომ საუბარი ქართველი მშვილდოსნების წარმატებების აღნიშვნით დავიწყოთ. ქეთევან ლოსაბერიძის შემდეგ, კარგა ხანია, არ გამოჩენილან მსოფლიო სტანდარტების დონეზე მოასპარეზე მშვილდოსნები, ამიტომაც ათმაგად სასიხარულოა ქართველი მშვილდოსნების — ნატო ნასარიძისა და ხათუნა ქვრივიშვილის გამარჯვებები. ხათუნამ, ცოტა ხნის წინ „გრან პრის" პროგრამით გამართულ საერთაშორისო ტურნირში — „ეროვნებათა თასი" მეორე ადგილი დაიკავა. სულ მალე, ევროპის ჩემპიონატზე ნატომ და ხათუნამ საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში ჩემპიონის წოდება მოიპოვეს, მაგრამ ეს არ იყო ერთადერთი მიღწევა ფრანკფურტის სასროლეთზე: პირად პირველობაში ნ. ნასარიძე ჩემპიონი გახდა, ხოლო ხ. ქვრივიშვილი ბრინჯაოს მედალს დასჯერდა. მათი ეს წარმატება და სტაბილური გამოსვლები გვაიმედებს, რომ მსოფლიო ჩემპიონის მედალი არც ისე შორსაა.

**კარგად** იასპარეზა კანადაში გამართულ მსოფლიო თასის გათამაშებაში თავისუფალი სტილით მოჭიდავე გიორგი ივანიშვილმა. მან დამაჯერებლად დაამარცხა ყველა მეტოქე და მსოფლიო თასს დაეუფლა. მეორე ადგილზე გამოვიდა გივი სისაური. ამავე სახეობაში გიორგი ხინჩიკაშვილმა ახალგაზრდულ ევროპის ჩემპიონატზე, რომელიც ქალაქ ლაპუაში გაიმართა, ოქროს მედალი მოიპოვა.

დავით გობეჯიშვილი პირველი ქართველი სპორტსმენია, რომელმაც კეთილი ნების თამაშებში ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა. როგორც მოსალოდნელი იყო, ფინალში მისი მეტოქე ამერიკელი ბრიუს ბაუმგარტნერი აღმოჩნდა. გობეჯიშვილმა სამი ქულა აართვა მეტოქეს, თავად მხოლოდ ერთი დაკარგა და დაამტკიცა, რომ თავის წონაში მსოფლიოში მას ბადალი არ ჰყავს.

უფროს კოლეგებს არც ახალგაზრდა ფალავნები ჩამორჩნენ. ოთხი მედლით დაგვიბრუნდნენ უნგრეთიდან ჭაბუკი ქართველი მოჭიდავეები — ლუკა კოხიამ და დავით პოლოხიანმა ოქროს მედლები მოიპოვეს, ალექსანდრე კახნიაშვილმა და ზურაბ ლოლაშვილმა — ვერცხლისა. მკითხველს ალბათ ახსოვს, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა ამ ქართველი ჭაბუკების გამგზავრება

იხ. მე-2 გვ.



# ერთადერთი ჩემპიონი

**ქალთა** ძიუდო ჩვენთან შედარებით „ახალი ხილია", თუმცა ჩვენს გოგოებს უკვე გარკვეული მიღწევებიც აქვთ.

უნგრეთის ქალაქ ვესტერგომში ვაჟთა შეჯიბრების პარალელურად საერთაშორისო ტურნირ „მეგობრობის" პროგრამით ძიუდოისტ ქალთა ასპარეზობაც მიმდინარეობდა, რომელშიც რვა ქვეყნის — ბულგარეთის, რუმინეთის, იუგოსლავიის, პოლონეთის, ჩეხეთ-სლოვაკეთის, კუბის, უნგრეთის და საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდები მონაწილეობდნენ.

საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდის შემადგენლობაში, მძიმე წონით კატეგორიაში ასპარეზობდა თბილისელი ნინო ქუცნიაშვილი (მწვრთნელები — ზურაბ ფარქოსაძე და მურად მწარიაშვილი), რომელიც გასული წლის ამავე ტურნირის ვერცხლის პრიზიორია.

ამჯერად ნინომ გაცილებით უკეთესად იასპარეზა. ნახევარფინალში კუბელი სპორტსმენი დაჯაბნა, ხოლო ფინალური ორთაბრძოლა ევროპის პირველობის პრიზიორ პოლონელ ვალზაკთან ბრწყინვალედ ჩაატარა და წმინდა გამარჯვება მოიპოვა.

ამრიგად, ნინო ქუცნიაშვილი ერთადერთი მოჭიდავეა საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრთა შორის, რომელმაც „მეგობრობის" ტურნირის გამარჯვებულის ტიტული მოიპოვა. ნაკრების სხვა წევრთა შედეგი კი ასეთია — ორი მეორე და ოთხი მესამე ადგილი.

სოფელ დიღმის საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლე ამჯერად საკავშირო პირველობაზე ასპარეზობს, სულ მალე კი იგი მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე დაიცავს რესპუბლიკის ღირსებას.

* * *

სურათზე: ნ. ქუცნიაშვილი.

მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადა

# სტარტი—წარუმატებელი და... ჩინებული

**მოსწავლეთა** საკავშირო სპარტაკიადის პროგრამით გამართული ტურნირი ბატუტზე ხტომაში, ქართველი სპორტსმენებისთვის, ცოტა არ იყოს, უსიამოვნოდ დაიწყო. სპორტსაზოგადოება „მართვეს" დარბაზში საბჭოთა კავშირის საუკეთესო მოსწავლე-ბატუტისტებმა მოიყარეს თავი. თავდაპირველად, სარბიელზე ერთეულთა თანრიგში მოასპარეზე ვაჟები გამოვიდნენ. საქართველოს ნაკრების ოთხივე წევრი, პირველივე — სავალდებულო ვარჯიშის შესრულების შემდეგ, ლიდერთა ჯგუფში მოექცა, მაგრამ სამწუხაროდ, ორმა მათგანმა — გიორგი გაგუამ და რემიკ პოლოზიანმა ცხრილის შუაგულში გადმოინაცვლა, გიორგიმ მეორე თავისუფალი ვარჯიშის მეხუთე ელემენტის შესრულებისას უხეში შეცდომა დაუშვა და პირველი ადგილიდან უცებ მეოცეზე დაეშვა, ხოლო რ. პოლოზიანი თითქმის ანალოგიური შეცდომის „წყალობით" XI ადგილზე აღმოჩნდა.

ასპარეზობის პირველი დღის პირველი ნახევრის დამთავრების შემდეგ თბილისელი რევაზ ხარატიშვილი დაწინაურდა. რევაზმა ამ დღეს შესანიშნავად იასპარეზა და ეს წარმატება სრულებითაც არ არის შემთხვევითი. სარბიელზე კიდევ ერთი ქართველი — კახაბერ ქვლივიძე სცდიდა ბედს. კახაბერიც დამაიმედებლად გამოვიდა და, მართალია, ჯერჯერობით რ. პოლოზიანის „მეზობლად იმყოფება" — X ადგილზეა, მაგრამ შეჯიბრების დანარჩენ დღეებში, იმედია იგი ნაკრების სხვა წარმომადგენლებთან ერთად შევა ჩვეულ სპორტულ ფორმაში და ღირსეულ მეტოქეობას გაუწევს ტურნირის სხვა მონაწილეებს.

გოგონათა ინდივიდუალური ხტომების დროსაც ჰქონდა ჩვენთვის ერთ უსიამოვნო ფაქტს ადგილი: გ. გაგუასა და რ. პოლოზიანის მსგავსად, ირინა მიხაილოვა მოწინავეთა შორის იყო, მაგრამ გაგუასი არ იყოს, ისიც თავისუფალი ვარჯიშის მეხუთე ელემენტს ასრულებდა, რომ ბედმა უმტყუნა — ბატუტზე დაშვებისას წონასწორობა დაკარგა და დაეცა. ჯერჯერობით ის XX ადგილზეა.

აქ წარმატებით გამოვიდა გუნდის ერთ-ერთი ლიდერი ლელა გიგინეიშვილი. იგი II ადგილზეა და ახლა ჩემპიონობას უმიზნებს. თამარ სუსუნიაშვილი, რომელიც ასევე ერთ-ერთი საუკეთესო იყო გუნდში, მეოთხეა, ხოლო ნინო არლანაშვილი — მეშვიდე. ამ ოთხი გოგონას შედეგები საქართველოს ნაკრების საბოლოო რეზულტატზე უშუალოდ იმოქმედებს, მაგრამ გუნდში არის კიდევ ერთი გოგონა — მანანა მორბედაძე, რომელიც მხოლოდ ინდივიდუალურ ხტომებში სცდის ბედს. მისი ქულები ვერაფერში დაეხმარება თანაგუნდელებს. მანანა ჯერჯერობთ მხოლოდ XIV ადგილზეა, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ იგი ადრე აკრობატი იყო და სულ ათი თვეა, რაც სახეობა შეიცვალა.

საღამოს სარბიელზე სინქრონულმა წყვილებმა გააჩაღეს ბრძოლა. ამჯერად პირველად გოგონები ავიდნენ ბატუტზე. ჩვენმა დუეტებმა — ი. მიხაილოვა-ლ. გიგინეიშვილმა და თ. სუსუნეიშვილ-ნ. არლანაშვილმა —წარმატებით ჩააბარეს გამოცდა და ისინი, შესაბამისად, პირველ-მეორე ადგილებს იყოფენ. ვაჟებშიც ჩვენი წყვილი — რ. ხარაზიშვილი-გ. გაგუა ლიდერობს. რ. პოლოზიანისა და კ. ქვლივიძის სინქრონული დუეტი თავდაპირველად მეორე ადგლზე იყო, მაგრამ, საბოლოოდ, მესამეზე გავიდნენ.

ასეთია მოკლე მიმოხილვა ტურნირის პირველ დღეს საქართველოს წარმომადგენელთა გამოსვლისა. ვნახოთ რას მოგვიტანს ტურნირის დანარჩენი დღეები, თუმცა, უნდა ვთქვათ, რომ სპორტსმენებიც და მათი მწვრთნელებიც ძალზე ოპტიმისტურად არიან განწყობილნი და არცთუ უსაფუძვლოდ.

ლევან ჯავახიშვილი

## გუშინ...

**გამოვლინდნენ ფინალური ეტაპის მონაწილენი. ინდივიდუალური ხტომების ფინალში საქართველოს ექვსი წარმომადგენელი გავიდა: რ. ხარატიშვილი, კ. ქვლივიძე, ლ. გიგინეიშვილი, თ. სუსუნიაშვილი, ნ. არლანაშვილი და მ. მორბედაძე. სინქრონულ წყვილთა ასპარეზობაში ჩვენი ოთხივე დუეტი ფინალშია.**

VII

თვის მონაგარი

# არავინ დარჩა გულდაწყვეტილი

(დასასრული)

მსოფლიო ჩემპიონატზე, მაგრამ დიდი წვალების შემდეგ, როგორც იქნა, ჩვენი მოჭიდავეები გაემგზავრნენ უნგრეთს და გახახარ წარმატებასაც მიაღწიეს. ტყუილად როდი გაიხარჯნენ ჭიდაობის მეხვეურნი, რომ ეს ბიჭები მოხვედრილიყვნენ მსოფლიო ჩემპიონატზე.

თავისუფალი სტილით მოჭიდავეებს არც კლასიკოსები ჩამორჩნენ, რომლებიც კიშინიოვში ასპარეზობდნენ საკავშირო ჩემპიონატში. გიორგი კოლუაშვილმა (90 კგ) ვერცხლის მედალი მოიპოვა, ბეჩი დარჩიამ (82 კგ) — ბრინჯაოსი, ხოლო 100 კილოგრამ წონით კატეგორიაში „ქართული ფინალი" გაიმართა: ერთმანეთის პირისპირ დადგნენ თენგიზ თევდორაძე და გურამ გედეხაური. დაძაბულ ორთაბრძოლაში თევდორაძემ სძლია თანამემამულეს და ჩემპიონი გახდა, ხოლო გურამი „ვერცხლს" დასჯერდა.

**თვე** არ გავა, რომ ქართველმა ძიუდოისტებმა არ გაგვახარონ თავიანთი წარმატებებით. არც ივლისის თვე გახლდათ გამონაკლისი. პერმის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში დავით ხახალეიშვილმა ყველა მეტოქე დაამარცხა და თავის მდიდარ კოლექციას კიდევ ერთი „ნადავლი" შემატა. თუმცა, უძლიერესი ათლეტები სიეტლში ასპარეზობენ, მაგრამ ეს სრულიადაც არ აკნინებს დ. ხახალეიშვილის მიღწევას.

მართალია სტუდენტთა საკავშირო უნივერსიადა ჯერ არ დამთავრებულა, მაგრამ ჩვენმა ძიუდოისტებმა — დავით ბაგაურმა და მიხეილ ხუმარაძემ უკვე გაახარეს გულშემატკივრები. დ. ბაგაურმა 86 კგ წონით კატეგორიაში პირველი ადგილი დაიკავა, ამავე წონაში მესამე იყო მ. ხუმარაძე.

**ბერლინში**, „მეგობრობა-90"-ის საერთაშორისო ტურნირზე შესანიშნავად გამოვიდნენ ქართველი ფალავნები. შალვა ბექაურმა და ირაკლი უზნაძემ ჩემპიონობა მოიპოვეს, ხოლო ვეფხია ავალიანი ბრინჯაოს მედლით დაგვიბრუნდა.

მალხაზ ბერუაშვილმა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალი მოიგო სამბოში. ეს მოხდა კალინინში. აქვე გ. ნაცვლიშვილი ბრინჯაოს მედლის მფლობელი გახდა.

**ქართული** კრივი დაკარგულ ტრადიციებს რომ იბრუნებს, ამას ახალგაზრდა ქართველ მოკრივეთა ბოლოდროინდელი წარმატებები ადასტურებს. თუნდაც ივლისი ავიღოთ. ჩეხეთ-სლოვაკეთის ქალაქ უსტინა ნად-ლაბოს რინგზე, ახალგაზრდა სპორტსმენთა ევროპის პირველობაზე საქართველოდან ხუთი მოკრივე მონაწილეობდა და ოთხმა მათგანმა ფინალში ასპარეზობის უფლება მოიპოვა, ესეც წარმატებაა, მაგრამ ვინ წარმოიდგენდა, რომ ოთხივე მათგანი ჩემპიონი გახდებოდა. აი ისინიც: რამაზ ფალიანი, კახა ბარავი, აკაკი კაკაურიძე და პაატა გვასალია. უფრო წარმომადგენლობითი იყო საქართველოს ნაკრები გუნდი „შრომითი რეზერვების" მოკრივეთა საკავშირო პირველობაზე, რომელშიც 1976 წელს დაბადებული მოზარდები მონაწილეობდნენ. აქ ჩვენი რესპუბლიკის 21 წარმომადგენელი იბრძოდა და ცხრამ ჩემპიონის ტიტული მოიპოვა: მამუკა გრძელიძემ, არმენ ალაჯიანმა, ბესიკ აკობაშვილმა. იზო ამირიანმა, ბორის ალიევმა, ბექა ოდიშელიძემ, ირაკლი ახმედოვმა, გიორგი ტლაშაძემ და აბო თანდაშვილმა.

**ახალგაზრდა** აკადემიურ ნიჩბოსნთა საკავშირო რეგატაში, რომლის მიზანი მსოფლიო ჩემპიონატზე გამგზავრების კანდიდატების შერჩევა იყო, საქართველოდან გამოდიოდა სპორტსაზოგადოება „შევარდენის" მესაჭიანი ოთხადგილიანი ნავის ეკიპაჟი — მ. ჯალალანია, ს. აპოსტოლიდი, გ. ხაჩირაშვილი, დ. კანდელაკი და პ. ციცქიშვილი (მესაჭე). ჩვენმა ხუთეულმა დიდი უპირატესობით გაიმარჯვა ამ პრესტიჟულ რეგატაში და საფრანგეთში, მსოფლიო ახალგაზრდულ ჩემპიონატზე გაემგზავრა.

მოსკოვში, კრილატსკოეს ოლიმპიურ სანიჩბოსნო არხზე გამართულ საბაიდარო მარათონში — ათკილომეტრიან დისტანციაზე — წარმატებით გამოვიდა შეიარაღებული ძალების ოთხადგილიანი ეკიპაჟი, რომლის ერთ-ერთი წევრი ჩვენი თანამემამულე ე. ქაშაკაშვილი იყო. 22 წლის ფოთელი ნიჩბოსნისთვის ეს დიდი მიღწევაა. შეგახსენებთ რომ, ეს იყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი.

ფინალში იასპარეზეს ქართველმა კანოისტებმაც: გიორგი კახიშვილმა, თენგიზ დვალიშვილმა, დავით დოდაშვილმა და ლევან თვაურმა, მაგრამ ცხრა ნავთან ჭიდილში მათ მერვე ადგილი დაიკავეს. ნიჩბოსნების ეს წარმატებები გვაიმედებს, რომ მალე უფრო დიდ გამარჯვებებს ვიზეიმებთ.

**თუ** რამე იყო მოულოდნელი, ეს, უპირველეს ყოვლისა, აფროსანთა ახალგაზრდულ მსოფლიო ჩემპიონატში ბათუმელ კარინა ბალდასაროვას შედეგი. „მისტრალის" კლასში კარინა მესამე ადგილზე გავიდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იგი საბჭოთა ნაკრების დებიუტანტია.

**ქართველი** მოფარიკავის ვლადიმერ აფციაურის წარმატებებს უკვე შევეჩვიეთ. არც ის გვიკვირდა, რომ ვლადიმერი ყოველთვის საბჭოთა კავშირის ნაკრებს მხნელად ევლინებოდა. ამჯერადაც ასე იყო. ლიონში, მოფარიკავეთა მსოფლიო ჩემპიონატზე, საბჭოთა კავშირის ნაკრები მთავარ ფავორიტად ითვლებოდა, მაგრამ იტალიელებთან მარცხის შემდეგ ჩემპიონობისკენ გზა გადაეღობა, თუმცა არც III ადგილია ურიგო და ეს ადგილი, სამხრეთ კორეის გუნდთან ორთაბრძოლაში, სწორედ ვლადიმერ აფციაურის გამარჯვებების წყალობით იქნა მოპოვებული.

**კვლავ** არ თმობენ პოზიციებს მსოფლიო ასპარეზზე ქართველი მოჭადრაკეები. დიახ, არ ჩაივლის საერთაშორისო ტურნირები, მსოფლიო დონის ასპარეზობები, სადაც ჩვენმა მოჭადრაკეებმა არ თქვან თავიანთი სიტყვა და სხვათა შორის, ერთობ ანგარიშგასაწევი. კუალა-ლუმპურში (მალაიზია), მოჭადრაკე ქალთა მსოფლიო ჩემპიონატის საზონათშორისო ტურნირში, დამაჯერებლად გაიმარჯვა ნონა გაფრინდაშვილმა და პრეტენდენტის საგზური მოიპოვა. ნინო გურიელმა იუგოსლაველ მარიჩთან ერთად III-IV ადგილები გაიყო და სწორედ მათი დამატებითი მატჩი გადაწყვეტს, განაგრძობს ნინო ბრძოლას თუ არა. დიანა დარჩიამ ამერიკის შეერთებულ შტატებში 14 წლამდე ასაკის გოგონათა მსოფლიო ჩემპიონატში გაიმარჯვა. აქვე 12 წლამდე მოჭადრაკეთა ტურნირში III-IV ადგილები გაიყო 10 წლის სოხუმელმა რუსუდან გოლეთიანმა.

ვიდრე სიეტლიდან, კეთილი ნების თამაშების წყალში მხტომელთა ტურნირიდან გავიგებდეთ გიორგი ჩოგოვაძის გამოსვლის შედეგს, მანამდე ახალგაზრდათა წარმატებებით დავკმაყოფილდეთ. უნგრეთიდან ვერცხლის მედლებით დაბრუნდნენ ივერი ბარამიძე და გიორგი შელიუგოვი. ეს წარმატება დიდ საერთაშორისო ტურნირშია მიღწეული.

**მსოფლიო** ჩემპიონატში მონაწილე მძლეოსნების ვინაობა უნდა გაერკვია იუნიორთა საკავშირო პირველობას, რომელიც, ცხადია, დაძაბულად და უშეღავათოდ ჩატარდა. შეგახსენებთ, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე გაემგზავრება ვლადიმერ მინაკოვი, რომელიც 220 სანტიმეტრ სიმაღლეს გადაევლო და II ადგილი დაიკავა. შუბისმტყორცნელი ამბროსი მატიაშვილი III ადგილზე გავიდა და ნაკრების კანდიდატთა სიაში არ მოხვდა. მაგრამ მას დამატებითი ცდის უფლება მისცეს, რომელიც ამბროსიმ წარმატებით შეასრულა და მინაკოვთან ერთად იასპარეზებს ბულგარეთში. ბადროსმტყორცნელი ნინო ონაშვილი II იყო, მაგრამ სოფიაში იგი ვერ წავა, რადგან ამისათვის, ნინოს აუცილებლად უნდა გაემარჯვა.

უკვე მერამდენე თვეა, არ სცილდება ჩვენს რუბრიკას ოლეგ სტრიჟაკოვის გვარი და სახელი, დიახ, ოლეგი წარმატებით გამოდის თითქმის ყველა შეჯიბრებაში. ახლაც, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში, 10 კილომეტრიან დისტანციაზე ბრინჯაოს მედალს დაეუფლა და, რაც მთავარია, კეთილი ნების თამაშებზე გაემგზავრა.

**ფინეთის** სარბიელზე წარმატებით გამოვიდა თბილისელი ღანამედროვე ხუთჭიდელი ვახტანგ იაგორაშვილი. მან გუნდური პირველობა მოიგო საბჭოთა ნაკრების სხვა წევრებთან ერთად.

თბილისელმა ხნაიპერმა მაია გუბიევამ ევროპის ჩემპიონატზე საბჭოთა კავშირის ნაკრებთან ერთად ოქროს მედალი მოიგო, — ეს გუნდურში, ხოლო პირად პირველობაში „ბრინჯაოს" დაეუფლა მსოფლიოს საუკეთესო მესტენდურეებთან ჭიდილში.

**სასიამოვნოა**, რომ გამოცდილ ოსტატებს ჭაბუკებიც კარგად უბამენ მხარს. მათი შესაძლებლობების გამოვლენის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაა. სპარტაკიადის ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვეს საქართველოს ნაკრებმა გუნდებმა კალათბურთში და ხელბურთში. ხელბურთელმა გოგონებმა ხუთი თამაშიდან ცხრა ქულა დააგროვეს, რაც წინა წლებთან შედარებით საკმაოდ კარგი შედეგია, ხოლო ვაჟმა კალათბურთელებმა გადამწყვეტ მატჩში სძლიეს მოსკოვის ძლიერ გუნდს.

**თანდათან** ფეხს იკიდებს კეტბურთი საქართველოში. სულ ოროდე წელია, რაც სპორტის ეს სახეობა „შემოიჭრა" ჩვენში, და, აი, პირველი წარმატებაც. თბილისის „მერანი" და „ივერია" გაისად საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში იასპარეზებენ.

**ქართულ** სპორტს დღეს ყველაზე მეტად, სჭირდება საერთაშორისო კონტაქტების დამყარება, საერთაშორისო ასპარეზზე გასვლა. სწორედ ამ მხრივ არის საინტერესო თურქეთის ქალაქ რიზეს პროფესიულ საფეხბურთო კლუბ „რიზესპორის" სტუმრობა საქართველოში და ეს, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების დამსახურებაა. მიუხედავად საკავშირო ფეხბურთის ფედერაციის მცდელობისა, სრულ იზოლაციაში მოაქციონ ქართული ფეხბურთი, როგორც ხედავთ, მაინც ხერხდება ურთიერთობა უცხოეთის საფეხბურთო კლუბებთან. ის, რომ თურქი ფეხბურთელები საქართველოში იმყოფებიან და ამხანაგურ მატჩებს მართავენ საქართველოს გუნდებთან, უკვე დიდი გამარჯვებაა.

**დიდი** ხანი არ არის გასული მას შემდეგ, რაც წყალსათხილამურო სპორტის საერთაშორისო ფედერაციამ ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობა ფოთს დააკისრა. საქართველოში სტუმრად იმყოფებოდა წყალსათხილამურო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი ობრი შინა. მან დაათვალიერა ევროპის წყალმოთხილამურეთა მომავალი მასპინძელი — ფოთი და კმაყოფილი გაემგზავრა საქართველოდან.

როგორც ხედავთ. თითქმის სპორტის ყველა სახეობაში არის გარკვეული წარმატებები, ასე რომ, ივლისმა, — ზაფხულის ამ ლამაზმა თვემ, არავინ დატოვა გულდაწყვეტილი.



## თბილისიდან — ლონდონში, სცენიდან — კორტზე

„ლელოს" მკითხველები იცნობენ ჭაბუკ ჩოგბურთელ დათო ოძელაშვილს, ისიც იციან, რომ იგი მუსიკოსიც, კერძოდ, ფლეიტაზე დაკვრითაა გატაცებული. ამ გაზაფხულზე, როცა მის მორიგ გამარჯვებაზე გამოვაქვეყნეთ ცნობა, იქვე ვთქვით, რომ ჩოგბურთელს მალე გდრ-ის ქალაქ მარკნოიკირხენში მოუწევს ფლეიტისტთა ტრადიციულ საერთაშორისო კონკურსში გამოსვლა. იგი პირველად წარდგა ამ მეტად წარმომადგენლობითს ფორუმზე, რომელშიც სხვადასხვა ქვეყნის 73 ფლეიტისტი მონაწილეობდა. 16 წლის დათო ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე გახლდათ და, ალბათ, ესეცაა იმის მიზეზი, რომ „გრან პრი" არ რგებია, მაგრამ საერთო აღიარების ნიშნად, მერმისსაც მიწვეულია ამ კონკურსში. ახლა დ. ოძელაშვილი ემზადება არანაკლები მნიშვნელობის კონკურსზე გასამგზავრებლად — შვეიცარიაში.

ამ დღეებში კი სპორტის მოყვარულებმა კვლავ იხილეს კორტზე დ. ოძელაშვილი თანაგუნდელებთან ერთად. ეს მოხდა ლვოვის „დინამოს" საჩოგბურთო სტადიონზე. იქ გათამაშდა „დინამოს" მოზარდთა საკავშირო პირველობა სამ ასაკობრივ ჯგუფში, სადაც 200-მდე მონაწილე იყო.

დ. ოძელაშვილი წარმატებით ჩაება საშუალო ასაკის ჭაბუკთა ორთაბრძოლებში და ნახევარფინალში სძლია ქვეჯგუფში პირველ ნომრად განთესილ კალინინგრადელ ს. სიროგლაზკინს. ფინალური ბრძოლა და მასთან ერთად პირველობა კი მეგობარ-თანაგუნდელს ბექარ ძაგანიას დაუთმო. სხვათა შორის, წლევანდელი ზაფხული ბექარ ძაგანიასთვის ფრიად ღირსსახსოვარი იქნება. ხვალ მოსკოვიდან ლონდონში მიფრინავს 4 ჭაბუკი ჩოგბურთელი, ისინი უიმბლდონის კორტებზე, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ თანატოლებთან ერთად, ნიჭიერ ჩოგბურთელთა სმიტის სკოლის (აშშ) სპეციალისტების მეთვალყურეობით ივარჯიშებენ. ამ ოთხეულიდან ორი ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელია — ბექარ ძაგანია და გიორგი ტყემალაძე.

ტურნირში თავი ისახელა აგრეთვე თბილისის 58-ე საშუალო სკოლის მერვეკლასელმა ჭაბუკმა ლევან გელაშვილმა, რომელიც უმცროს ასაკში მესამე საპრიზო ადგილზე დამკვიდრდა, ხოლო შემდეგ სოჭელ ა. სტოლიაროვთან ერთად წყვილთა ასპარეზობის ფინალურ მატჩში დაამარცხა კალინინგრადელ ა. განაპოლსკისა და ვ. კორობკინის დუეტი. ასპარეზობაზე საქართველოს ღირსებას იცავდნენ აგრეთვე სოფიკო მანაგაძე, ლიკა ტამიროვა და ანა გასპარიანი, რომლებმაც სათანადო წვლილი შეიტანეს ჩვენი რესპუბლიკის გუნდის მიერ საპატიო მეორე ადგილის მოპოვებაში. მალე ეს დინამოელი მოზარდი ჩოგბურთელები, სოფიკო მანაგაძის გარდა, ჩაებმებიან მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის ტურნირში, რომელიც 6-12 აგვისტოს გაიმართება უკრაინის დედაქალაქში.

## „ჰლიშ"—რბოლას ნიშნავს

**სვანეთში**, წელიწადის ნებისმიერ დროს იმართება საერო თუ საკულტო დღესასწაულები. ამგვარ დღეობებზე მრავალფეროვან რიტუალებთან ერთად მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა სპორტულ ასპარეზობებს.

ივნისის პირველ ნახევარში მესტიაში იმართება წმინდა გიორგის დღისადმი მიძღვნილი დღესასწაული „მოლჯგრააგთა ლიტბული", რომელიც ეწყობა სვანთა სადროშოს მტერზე გამარჯვების აღსანიშნავად, როცა სვანებმა მომხდურს ბრძოლის დროს წაჰგვარეს სვანეთის დროშა „ლემი" (ზუსტი თარიღი უცნობია). „მოლჯგრააგ" სვანურად „წმინდა გიორგის მსახურთა წრეს" ნიშნავს და იგი ოთხ საგვარეულოს აერთიანებს — ნიგურიანებს, ფალიანებს, რატიანებსა და მჭედლიანებს. ლეგენდის მიხედვით, სწორედ ამ საგვარეულოთა წარმომადგენლები იყვნენ ზემოხსენებული გამარჯვების სულის ჩამდგმელნი და დღესასწაულსაც ისინი აწყობენ. იგი სამ დღეს გრძელდება, საღამოობით იმართება სპორტული სანახაობა „ჰლიში", რაც სვანურად დოღს, მარულას, რბოლას ნიშნავს. ადრე ეწყობოდა შეჯიბრებები ჭიდაობაში, ქვის გდებასა და აზიდვაში, სიგრძეზე და სიმაღლეზე ხტომაში და, რა თქმა უნდა, დოღში. ახალგაზრდები თამაშობდნენ მრგვალ ვირს, გრძელ ვირს, ლახტს, „ლიბრგიელს" (სვანური ჭიდაობა), „ლიბენქგვალს" (ჯგუფურ ჭიდაობას). სამწუხაროდ, დოღის გარდა მესტიაში ეს თამაშობები მიივიწყეს.

წელს შიხრას ხეობის ულამაზესი სოფლის მაზერის ახალგაზრდობამ გაიხსენა ძველსვანური თამაშობები; რა თქმა უნდა, თანამედროვე სპორტის სახეობების თანხლებით. ახალგაზრდები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მკლავჭიდში, ქვის გდებასა და აზიდვაში, ფეხბურთში, ფრენბურთში, ცხენოსნობაში... მაზერელთა გარდა ამ საინტერესო შეჯიბრებებში ცხუმარელი, ლენჯერელი, ბეჩოელი, ლატალელი ახალგაზრდებიც მონაწილეობდნენ. და, რაც მთავარია, უამრავი მაყურებელი დაესწრო ამ თავისებურ სპორტულ დღესასწაულს, რომელიც დიდხანს ემახსოვრებათ მაზერელთ და მათ სტუმრებს. იმედია, ახალგაზრდების მონდომება ხელს შეუწყობს ძველსვანური თამაშობების აღორძინებასა და შენარჩუნებას.

**პირიბე ფვარლიანი,**
„ლელოს" საკ. კორ.

## გაზეთ „ლელოს" რედაქციას!

პატივცემულო რედაქცია, თქვენი გაზეთის საშუალებით მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც გულთან ახლოს მიიტანა ჩემი ავადმყოფობის ამბავი. მე ხომ უმძიმესი ტრავმა მივიღე 1988 წლის მაისში ქუთაისში გამართულ საქართველოს პირველობაზე ძიუდოში.

დიდ მადლობას ვუძღვნი ჭიდაობის რესპუბლიკურ გაერთიანებას, გაზეთ „ლელოს" რედაქციას, ახალშექმნილ ჭიდაობის ასოციაციას, რომელმაც დამინიშნა ყოველთვიური დახმარება სრულ გამოჯანმრთელებამდე და, ამის გარდა, მეხმარებიან სხვადასხვა თანხით. სამოქალაქო ავიაციის ხელმძღვანელობა, თავის მხრივ, ყოველთვის ხელს მიწყობს სამკურნალოდ სხვადასხვა ქალაქებში ჩემი გამგზავრების დროს, ხოლო ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო საგზურებს გამომიყოფს ხოლმე.

ცალკე ულრმეს მადლობას ვუხდი ბატონ ლევან თედიაშვილს, რომელმაც პირველმა გამომიწოდა დახმარების ხელი; ბატონ ომზარ შოშიტაშვილს, მწვრთნელებს ვ. ბალხამიშვილს, გ. ალექსანიანს და სხვებს, რომლებიც ხშირად მნახულობენ, მეხმარებიან მატერიალურად და სიმხნევეს მატებენ ჩემს ბრძოლას ტრავმასთან.

დიდი მადლობა თქვენ, კეთილო ხალხო!

პატივისცემით
**ამირან (ამური) აბუაშვილი.**

კეთილი ნების თამაშების დღეებში საქართველოს მხოლოდ სპორტის წარმომადგენლებით როდი ეცნობა ამერიკა. თამაშების პროგრამა, სპორტულიც და კულტურულიც, ფრიად მრავალფეროვანია. თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს წარგზავნილები მუდამ ყურადღების ცენტრში არიან. რაღა თქმა უნდა, საქართველოსთვისაც ამერიკასთან „შეხვედრა" მხოლოდ სპორტით არ შემოიფარგლება. სიეტლში „ლელოს" საკორესპონდენტო პუნქტიდან გუშინ მიღებული ეს პირველი ფოტორეპორტაჟიც კეთილი ნების თამაშების ამ სულისკვეთებას გამოხატავს.

ფოტორეპორტაჟი მოგვაწოდა „ლელოს" სპეციალურმა კორესპონდენტმა სიეტლში თენგიზ გაჩეჩილაძემ.








● ქართველ კეტბურთელებს ხვიჩა ყაველაშვილს (მარჯვნივ) და ნუგზარ ფოფხაძეს მექსიკის გუნდთან თამაშის შემდეგ ავტოგრაფებს სთხოვდნენ ამერიკელი გულშემატკივრები.

● დავით გოგეჯიშვილმა ეს-ესაა დაამარცხა ლეგენდარული ბაუმგარტნერი.

● სპორტული ალმების „ალლუმი" სიეტლში.





● კარლ ლუისი პრესკონფერენციაზე.



● საქართველოს წარმომადგენლები თამაშების გახსნის ცერემონიალზე.

● ქართული სამზარეულოს დღემ წარმატებით ჩაიარა.






● სიეტლის ერთ-ერთი კუთხე

# Georgia: Soviet region has cooking on its mind

From Page C1

**Lobio**

- 1¼ cups dry red beans
- 5 cups water
- 2 small onions, chopped fine
- 2 cloves garlic, chopped fine
- 1 tablespoon olive oil
- ¼ cup raisins
- 4 scallions, sliced, divided use
- ½ cup toasted almonds, slivered
- 1 tablespoon honey
- 2 tablespoons vinegar (half red wine and half balsamic if possible)
- Salt and pepper

Preheat oven to 350 degrees. Rinse beans but do not soak. Put into an ovenproof covered casserole with 5 cups water. Bake covered 1 hour.

Saute onions and garlic in oil until golden. Add to bean pot with raisins, half the scallions, and almonds. Bake 2½ hours, adding more water if they look dry.

Below are some of the dishes being served at the kartuli supra tomorrow. Recipes have been tested by Dewell, Brusseau and others, who warn that the flavors may be unusual and the seasonings are a matter of personal taste.

Flattening the chicken while frying ensures even, quick cooking. Georgians weigh down the bird with smooth, well-washed river stones.

**Tabaka Chicken With Garlic Yogurt Sauce**

- 4 cloves garlic
- ⅓ cup water
- 2 tablespoons ricotta cheese
- 2 cups yogurt
- 1 frying chicken, 2-3 pounds
- Salt and pepper
- ¼-½ cup olive oil

Crush or pound garlic into a paste. Add water, ricotta, yogurt, and a pinch of salt. Mix well. Sauce should sit 2 to 3 hours to allow flavors to mingle.

Cut chicken in half lengthwise through the back from neck to

Add honey, vinegar, remaining scallions, salt and pepper to taste. Bake 30 minutes. Remove from oven and let cool, then refrigerate. Serve cold.

**Badrijani Nigozit (Eggplant With Walnuts)**

- 6 Japanese eggplants, washed, unpeeled
- ½ cup oil for frying, approximately
- ½ cup walnuts
- 1 medium onion
- 2 cloves garlic
- ¾ cup cilantro leaves
- Salt and pepper
- Red pepper slivers or pomegranate seeds for garnish

Slice eggplants lengthwise in slices ¼- to ⅜-inch thick. Discard outer slices. From each eggplant you should get at least 3 slices with skin on edges.

Cover bottom of skillet lightly with oil, and saute eggplant until it is soft and light golden. Drain

In food processor finely chop walnuts, onion, garlic, and cilantro. Season to taste. It should be a smooth paste; if mixture seems too thick, thin with a little oil (walnut oil if you have it).

Place about 1 tablespoon of filling on thick end of the eggplant slice and roll into a cylinder. Garnish with small thin slices of red pepper or pomegranate seeds. Serve at room temperature.

Yield: About 20.

Georgian yellow plums are tart counterpoints to the lamb, but green gage plums or cranberries are a good substitute. Frozen berries cook quicker.

**Tchakapuli**

- 2½ pounds breast of lamb, well trimmed of fat
- 4 medium onions, chopped
- 1 cup fresh tarragon (or ½ cup dried), chopped
- ½ cup each fresh cilantro and parsley, washed, steamed and chopped
- 1 cup cranberries (frozen

● ამერიკის პრესაში გამოქვეყნდა ქართული სამზარეულოს რეცეპტები.




● თამაშების ყოველდღიური ბიულეტენის ერთ-ერთი ბოლო ნომერი.

## საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

**„სანავარდო“ (სამტრედია)— „იბერია“ (თბილისი) 0:1 (0:0)**

სამტრედია. 1. აგვისტო. ე. მანჯგალაძის სახელობის სტადიონი.

I წრის გამოტოვებული შეხვედრა.

„სანავარდო“: თოდაძე, პოხრეიძე, ვაშაკიძე, თვალაბეიშვილი, თამაზაშვილი, რუხაძე, ბაბუნიძე, კოტრიკაძე, დადუნაშვილი, გოგაძე, ლეკვეიშვილი.

„იბერია“: ხაპოვი, მაჭავარიანი, ცხადაძე, ჭედია, ჯიშკარიანი, რევიშვილი (ჯამარაული), ქეცბაია, ჩიქოვანი, კაჭარავა, გურული, გოგიჩაიშვილი (ყიზილაშვილ).

მსაჯები: ა. მილჩენკო, ა. ხამხარაძე, ო. გაგუა (ყველა — სოხუმი). გოლი: გურული (78 წთ.).

## ს. ალეინიკოვი — „ლეჩეში“

**რეიტერის** სააგენტო იუწყება, რომ საბჭოთა ფეხბურთელი ს. ალეინიკოვი, რომელიც იტალიის ქალაქ ტურინის ცნობილ „იუვენტუსში“ თამაშობდა, გადავიდა იტალიისავე „ლეჩეში“ და კლუბთან ორწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი („ლეჩე“ იტალიის საფეხბურთო ჩემპიონატის პირველ დივიზიონში გამოვიდა).

„ლეჩეს“ მწვრთნელად სულ ახლახან დაინიშნა ცნობილი პოლონელი ფეხბურთელი ზბიგნევ ბონეკი, რომელმაც თავის კლუბში ს. ალეინიკოვის ჩარიცხვა გადაწყვიტა მას შემდეგ, რაც ჰოლანდიის „ეინდჰოვენმა“ ბოლო მომენტში დაასწრო „ლეჩეს“ და გადაიბირა რუმინელი ფეხბურთელი გეორგე პოპესკუ.

ს. ალეინიკოვის კონტრაქტის ფინანსური წვრილმანები ჯერჯერობით ცნობილი არაა.

კეთილი ნების თამაშები

# ფინალური ბრძოლების დღე

(დასასრული)

ოსკარ დელა ხოია (აშშ) — აივან რობინსონი (აშშ), 60 კგ — არტურ გრიგორიანი (სსრკ) — ხულიო გონსალესი (კუბა), 63,5 კგ — კონსტანტინე ცზიუ (სსრკ) — ალექსანდრე ბანინი (სსრკ), 67 კგ — ფრანსისკ ვასტაგი (რუმინეთი) — რაულ მარკესი (აშშ), 71 კგ — ტორსტენ შმიტცი (გდრ) — ისრაელ აკოფკოხიანი (სსრკ), 75 კგ — ორესტეს სოლანო (კუბა) — სვენ ოტკე (გფრ), 81 კგ — ანდრეი კურნიავკა (სსრკ) — ტერი მაკგრუმი (აშშ), 91 კგ — ევგენი სუდაკოვი (სსრკ) — ფელიქს სავონი (კუბა), მძიმე — ლერი დონალდი (აშშ) — ევგენი ბელოუსოვი (სსრკ).

სსრ კავშირის ფრენბურთელ ვაჟთა ნაკრებმა ჯგუფური ტურნირის ბოლო მატჩი საფრანგეთის გუნდს მოუგო — 3:0 და ნახევარფინალში გავიდა, სადაც მისი მეტოქე კუბელი სპორტსმენები იქნებიან. მეორე ნახევარფინალურ წყვილს აშშ-სა და იტალიის ფრენბურთელები შეადგენენ.

აშშ-ს კალათბურთელებთან მარცხის შემდეგ სსრ კავშირის ქალთა ნაკრებმა რის ვაი-ვაგლახით აჯობა სამხრეთ კორეის ნაკრებს — 79:77 (40:41). ნახევარფინალში იგი შეხვდება ბრაზილიელებს. გადამწყვეტი მატჩის მეორე საგზურს აშშ-სა და ბულგარეთის გუნდები გაითამაშებენ.

ორივე ეს მატჩი დღეს, 4 აგვისტოს გაიმართება.

საბჭოთა ნაკრების მეორე მწვრთნელი ვადიმ კაპრანოვი თავისი კალათბურთელების თამაშით უკმაყოფილო დარჩა. გუნდმა ვერაფერი გააწყო ტანმორჩილ კორეელთა წინააღმდეგ, რომლებიც სწრაფად თამაშობდნენ და შეუცდომლად ესროდნენ კალათს საშუალო და შორ მანძილებიდან.

სხვათა შორის, საბჭოთა ნაკრების უუნარობა სწრაფ მეტოქესთან ბრძოლაში ჯერ კიდევ მსოფლიო ჩემპიონატზე იგრძნობოდა. მაგრამ შედარებით მოკლე დროში (კალათბურთელები მალაიზიიდან პირდაპირ სიეტლში ჩავიდნენ) მწვრთნელებმა, როგორც ჩანს, ვერ მოასწრეს ამ ნაკლის გამოსწორება. ასე იყო თუ ისე, გუნდმა ძლივს გაიკაფა გზა ნახევარფინალში და ახლა უფრო ძნელი ბრძოლა მოელის.

წყალში მხტომელთა ტურნირზე აშკარად იგრძნობა ჩინეთის სპორტსმენთა უპირატესობა, გაო მინს კი ჟურნალისტებმა ერთხმად „ტრამპლინის დედოფლის“ სახელი შეარქვეს. სამმეტრიან ტრამპლინზე გამარჯვების შემდეგ, მან პირველობა მოიპოვა მეტრიანზეც — 508,80 ქულა. ერთადერთი მხტომელი, ვინც მეტ-ნაკლებ წინააღმდეგობას უწევს ლიდერს, ირინა ლაშკო გახლავთ. იგი ამჯერადაც მეორე ადგილს დასჯერდა — 504,09.

## სპორტსმენთა პრობლემები

19 საათი დასჭირდა მსოფლიოს საუკეთესო ბადროსმტყორცნელს ილკე ვილუდას (გდრ), ლონდონიდან სიეტლს ჩასაფრენად. მეტეოროლოგიური პირობების გამო, თვითმფრინავის გაფრენა ორჯერ გადაიდო, მაგრამ ვილუდამ მაინც მოუსწრო შეჯიბრების დაწყებას, ესროლა იქ 68 მ და 8 სმ და პირველი ადგილი დაიკავა. ეს შედეგი, რა თქმა უნდა, არ გამოხატავს ილკეს რეალურ შესაძლებლობებს, მაგრამ გამარჯვება გამარჯვებაა, მით უფრო, რომ უკვე 23 შეჯიბრებაა მძლეოსანმა არ იცის მარცხი.

პრესკონფერენციაზე ილკე ვილუდამ ილაპარაკა აღმოსავლეთ გერმანიის სპორტსმენთა პრობლემებზე, აღნიშნა, რომ ბევრი მისი კოლეგა უმუშევარი რჩება, ბევრი მწვრთნელი გაათავისუფლეს სამუშაოდან. ოქტომბერში, მისი განცხადებით, დაიშლება გდრ-ის ყველა ნაკრები და ათასობით დათხოვილი სპორტსმენი ვერ შეძლებს ახალ სისტემაში ადაპტირებას.

ამ მხრივ 21 წლის ილკეს არაფერი ემუქრება. პოლიტიკური ცვლილებები მის სპორტულ კარიერას ხელს არ უშლის, მაგრამ, ყველა ხომ ვილუდა არ იქნება?!



აფროსნობა — სპორტის ეს პრესტიჟული სახეობა ამერიკაში ფრიად პოპულარულია, კეთილი ნების თამაშების აფროსანთა რეგატას, რომელიც 1 აგვისტოს დაიწყო და დღეს დამთავრდება, არ მოჰკლებია მაყურებელთა ყურადღება. ამ ფოტოზე „ფინის“ კლასში მოასპარეზეთა რბოლაა აღბეჭდილი.

საკდეს-საქინფორმის ფოტო.

### „ავტოგრაფები“ ტაბლოზე

**31 ივლისი.**

**წყალში ხტომა.** ქალები. 3 მ ტრამპლინი. 1. გაო მინი (ჩინეთი) — 525,78.

**თანამედროვე ხუთჭიდი.** ვაჟები. 1. ანატოლი სტაროსტინი (სსრკ) — 5640 ქ.

ქალები. 1. ლორი ნორვუდი (აშშ) — 5288 ქ.

**კალათბურთი.** ქალები. ბრაზილია — კანადა 73:75; ბულგარეთი — ჩსფრ 64:54; აშშ—ს. კორეა 94:70; სსრკ — ავსტრალია 72:60.

**ფრენბურთი.** ვაჟები. კუბა — იტალია 3:2; ჰოლანდია — არგენტინა 3:0; საფრანგეთი — ბრაზილია 3:0; აშშ — სსრკ 3:2.

**ჰოკეი.** შვეცია — ფინეთი 7:1, კანადა — ჩსფრ 3:2.

**კეტბურთი.** VII ადგილისთვის: მექსიკა — სსრკ 14:4; V ადგილისთვის: პუერტო-რიკო — ტაივანი 10:7, III ადგილისთვის: აშშ — კანადა 10:4; ფინალი: კუბა — იაპონია 6:1. საბოლოო შედეგი: 1. კუბა, 2. იაპონია, 3. აშშ.

**1 აგვისტო.**

**წყალში ხტომა.** ვაჟები. 3 მ ტრამპლინი. 1. ტან ლიანდე (ჩინეთი) — 650.01 ქ.

**ფრენბურთი.** ვაჟები. კუბა — არგენტინა 3:1; იტალია — ჰოლანდია 3:1; სსრკ — საფრანგეთი 3:0, აშშ — ბრაზილია 3:1.

**კალათბურთი.** ქალები. ბრაზილია — ჩსფრ 95:72; ბულგარეთი — კანადა 87:66; აშშ — სსრკ 86:78, ს. კორეა — ავსტრალია 75:65.

**ჰოკეი.** სსრკ — შვეიცარია 4:2, აშშ — გფრ 9:3.

**2 აგვისტო.**

**წყალში ხტომა.** ქალები. 1 მ ტრამპლინი. 1. გაო მინი (ჩინეთი) — 508.80 ქ.

**კალათბურთი.** ქალები. სსრკ — ს. კორეა 79:77; ბრაზილია — ბულგარეთი 85:79; ჩსფრ — კანადა 79:76; აშშ — ავსტრალია 103:80. ნახევარფინალებში შეხვდებიან: აშშ — ბულგარეთი, ბრაზილია — სსრკ.

**ჰოკეი.** ჩსფრ — შვეიცარია 8:4.

ITALIA'90

# „ეკიპი“: ეს იყო ერთფეროვანი გუნდების ჩემპიონატი

**სულ** უფრო შორს, ფეხბურთის ისტორიის ანალებში „მიიპარება“ იტალიის მსოფლიო ჩემპიონატი. მართალია, ჯერ კიდევ ცოცხლად გვახსოვს აპენინის ნახევარკუნძულზე გამართული მძაფრი ბატალიების ბევრი ნიუანსი, ცალკეული ეპიზოდები, მაგრამ გავა მცირე დრო და ყველაფერი ის, რაც იტალიის უდიდესი ქალაქების სტადიონებზე ხდებოდა ივნის-ივლისში, თანდათან მიგვავიწყდება, მით უმეტეს, რომ რაიმე ღირსშესანიშნავი, ექსტრაორდინარული იქ ბევრი არაფერი მომხდარა. ეს იყო კონიუნქტურული, შეუპოვარი ბრძოლა ყოველ კონკრეტულ მატჩში, ბრძოლა შედეგისთვის, მაგრამ მე-14 მსოფლიო ჩემპიონატს ხეირიანი არაფერი შეუმატებია საერთაშორისო ფეხბურთისთვის, მისი შემდგომი პროგრესისა და სრულყოფისთვის.

მაგრამ, ასეა თუ ისე, უცხოეთის სპორტული პრესა კვლავ და კვლავ უბრუნდება განვლილ მსოფლიო ჩემპიონატს, მსჯელობს მის დადებით და ნაკლოვან მხარეებზე. ამ მხრივ გამონაკლისს არც ფრანგული გაზეთები წარმოადგენს, თუმცა, ამ ქვეყნის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში არ მონაწილეობდა.

ამიტომაც, გასაგებია, რომ წამყვან ფრანგულ გაზეთებს, ვთქვათ, „ეკიპსა“ და „მონდს“, რაზან მისაკერძოებელი მათ არაფერი ჰქონდათ, შესაძლებლობა მიეცათ ობიექტურად, დადინჯებით განეხილათ განვლილი შეჯიბრება, ნეიტრალის პოზიციიდან გაერჩიათ ავი კარგისაგან, ისიც ბუნებრივია, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და არგენტინის გაზეთები იტალიაში მომხდარ ამბებზე მხოლოდ ამაღლებული ტონით წერენ,- ცდილობენ, რაც შეიძლება მაღალი რეიტინგი მოუპოვონ მსოფლიო ჩემპიონატს, კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა მიანიჭონ თავიანთი გუნდების მიღწევებს, ამავე დროს კი იტალიის სპორტულ პრესაში სრული მინორული მოტივები და პესიმიზმი სუფევს, ბევრ გაზეთს, მაგალითად, იტალიის ნაკრების მარცხი ნამდვილ ეროვნულ კატასტროფად მიაჩნია.

სწორედ ამიტომაც ასე საინტერესოა ფრანგული გაზეთების „მონდისა“ და „ეკიპის“ თავდაჭერილი, ობიექტური შეფასებანი.

„მონდი“ წერს: „ერთი თვის მოგზაურობა ფეხბურთის პლანეტაზე სავსებით საკმარისი იყო საიმისოდ, რათა გულდასმით შეგვეთვალიერებინა ის უსიცოცხლო პეიზაჟი, რომელიც მზისგან გადახრუკულ მინდორსა ჰგავდა. ვისაც იმედი ჰქონდა ამ ულმობელ ტრამალებზე მოენახა ორიგინალური, რომანტიკული, შემტევი ფეხბურთის ოაზისები, აშკარად გაწბილებული დარჩა. განვლილი ჩემპიონატის უსახურ, მკრთალ ფონზე მხოლოდ აქაიქ თუ გაიელვებდა ღირსშესანიშნავი, დასამახსოვრებელი სურათები, მაგალითად, კამერუნელი როჟე მილას საოცარი მანევრები, დასავლეთგერმანელი კლინსმანის ელვისებური გარღვევები, ჩეხოსლოვაკიელი სკუხრავის ჩინებული ტაქტიკური გადაცემები, ფეხმარდი სკილაჩის იღბლიანი რეიდები, მაგრამ ყველაფერი ეს მცირე, ერთობ ცოტა იყო, მსოფლიო ჩემპიონატი კი მთელი თვე მიმდინარეობდა. ის ნათელი, მაჰვილგონივრული, რომანტიკული ფეხბურთი, რომელსაც ბრაზილიურს ვუწოდებთ, მხოლოდ წარსულის ტკბილ მოგონებადღა დარჩა. იტალიის მსოფლიო ჩემპიონატმა ცხადყო, რომ დიდი გუნდები და დიდი ფეხბურთელები ჩვენს პლანეტაზე აღარ არსებობენ“.

შემდეგ „მონდი“ აღნიშნავს: „მსოფლიო ჩემპიონატის გმირებად იქცნენ არა ფეხბურთელები, არა მწვრთნელები, არამედ მსაჯები, რომლებიც უმოწყალოდ არიგებდნენ მარჯვნივ და მარცხნივ ყვითელ და წითელ ბარათებს. მათი უხეში შეცდომების გამო, რამდენიმე გუნდი დიდად დაზარალდა, ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ ჩემპიონატის მეორე, დასკვნითი ეტაპის ბედი შემოწმებული, გამოცდილი არბიტრების სინდისს მიანდო, მათაც შეურიგებელი პოზიცია გამოიჩინეს აშკარად უხეში თამაშის მიმართ. საბოლოოდ, მსაჯებმა, როგორც იქნა, შეძლეს ძალმომრეობის აღკვეთა მწვანე მინდვრებზე“.

„ეკიპის“ აზრით, იტალიის მსოფლიო ჩემპიონატმა გადაგვიწურა შემტევი, იმპროვიზებული, შემოქმედებითი ფეხბურთის აღორძინების ყოველგვარი იმედი. 1988 წლის ევროპის ჩემპიონატი გაცილებით უფრო შინაარსიანი, ლამაზი და სანახაობრივი იყო, ვიდრე ორი წლის მერე იტალიაში გამართული ფეხბურთელთა ხელჩართული სისხლისმღვრელი ომი. სანამ ფეხბურთში ფინანსური ინტერესები იმეფებს, სანამ თამაშის წესებში და არბიტრთა შეუვალ უფლებამოსილებაში არ მოხდება ეგზომ საჭირო ცვლილებები, ეს სავალალო ტენდენცია არ შეიცვლება.

„ეკიპი“ ასეთ კითხვას სვამს: „რით განსხვავდება იტალიის მსოფლიო ჩემპიონატი სხვა წინა ანალოგიური შეჯიბრებებისგან?“ და თვითვე პასუხობს:

„თამაშის ორგანიზაცია. იგი იმდენად სტანდარტული, შაბლონური გახდა, რომ უნებურად ფიქრობ: აი, მინდორზე გამოვიდა ერთი 22-კაციანი გუნდი, გაიყო ორად, ფეხბურთელები ერთმანეთისგან მხოლოდ მაისურის ფერით განსხვავდებიან, და ყველანი ტყუპისცალებივით ერთნაირად თამაშობენ. ჯერ იყო და, სავსებით დაეივიწყეთ შესანიშნავი ბრაზილიური სისტემა; შემდეგ — არგენტინელი მწვრთნელის კარლოს ბილარდოს მიერ მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატზე დემონსტრირებული სისტემა 3—5—2 უკვე ოთხი წელია უცვლელად მეფობს მთელს მსოფლიოში და თუ ზოგჯერ მცირეოდენი ნიუანსი არის, ეს ისაა, რომ 5 ნახევარმცველიდან უმეტესობას დაცვითი ფუნქციების შესრულება ეკისრება, შეტევისა ყველას ცეცხლივით ეშინია. თვით ბრაზილიელებმაც და იტალიელებმაც კი დაცვის გაძლიერება ამჯობინეს და თავისუფალი მცველი გაამწესეს უკანა ხაზზე. განა ბრაზილიური ფეხბურთი მიაღწევს რამეს, თუკი მან პრიორიტეტი დაცვას მიანიჭა შეტევასთან შედარებით? ალბათ, ამიტომაცაა, რომ ბრაზილიის ნაკრებს საუკეთესო მოთამაშეები დაცვაში მეტი ჰყავს, ვიდრე თავდასხმაში. ეს კი დიდი დანაკლისია ფეხბურთისთვის“.

„ეკიპმა“ კიდევ ერთი მეტად მნიშვნელოვანი ამბავი შენიშნა განვლილ მსოფლიო ჩემპიონატზე: „პრესინგი ბურთის წართმევის ძირითად საშუალებად იქცა, განსაკუთრებით მინდვრის შუაგულში. აქ ახლა მოთამაშეთა ძალზე დიდი თავმოყრა შეიმჩნევა, შემტევი კომბინაციები აქედან ნაკლებად ხორციელდება, შუა მინდვრიდან მცველთა დიდი კონცენტრაციისთვის იწყება ზრუნვა, ყველა გუნდს აქ მეტად მკაცრი ძალისმიერი ბრძოლა აქვს გაჩაღებული, რაც ხშირ შემთხვევაში აშკარა, დაუფარავ უხეშობაში გადადის, უხეშობა კი ფეხბურთის უპირველესი მტერია“.

რედაქტორის მაგიერ
თ. მიბრიაული

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა გ. ბურდული. კორექტორები მ. ძეძამიძე და ე. ხომერიკი.

ჩვენი მისამართი: წერილებისთვის — 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები: წერილების განყოფილება — 98-97-55, ხაზინადარი — 98-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 98-97-54, „შერანი“ — 98-97-20, „ბაბილა“ — 98-97-27.

ჩვენი ინდექსი: 30435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით სტამბაში კორპუსში: ხაშურაულის, 29.

ხელნაწერი ავტორებს არ უბრუნდებათ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20